



**საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA**

0102 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი: 1481(24/7)
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

05 ივლ 2024 წ.



KA000068301080824

№ 2024/2543

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

რეკომენდაცია

მსჯავრდებულ [REDACTED] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემონმების შედეგების მიხედვით და გეგმავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

2024 წლის 11 აპრილს და 24 მაისს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა და გაესაუბრა მსჯავრდებულ [REDACTED] (აქვს მომეტებული რისკი), რომელმაც აღნიშნა, რომ მისი ახლო ნათესავები (ბებია, არასრულწლოვანი შვილი, ბიძა, ბიძაშვილები) ცხოვრობენ აღმოსავლეთ საქართველოში, რის გამოც ვერ ახერხებენ ქ. ქუთაისში ჩამოსვლას და შესაბამისად, ეზღუდება კუთვნილი პაემნისა და ამანათის მიღების უფლება. მსჯავრდებული ითხოვს სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, შესაბამისი ტიპის, N10 ან N8 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანას. მსჯავრდებულის განმარტებით, მისი არასრულწლოვანი შვილი, რომელიც ცხოვრობს ქ. რუსთავში, ხშირად ესაუბრება ტელეფონზე და ელოდება მის აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებაში გადაყვანას, რომ შეძლოს პაემანზე მონახულება.

ფაქტობრივი გარემოებები

საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა [REDACTED] ან მისი ახლო ნათესავების საცხოვრებელ ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე, სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციურ დეპარტამენტს მიმართა.^[1] ამასთან, აპარატმა N2 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოითხოვა მსჯავრდებულის მიერ გამოყენებული ხანმოკლე და ხანგრძლივი პაემნების შესახებ ინფორმაცია,^[2] ასევე, პენიტენციური დეპარტამენტიდან ინფორმაცია გამოითხოვა N8 და N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა რაოდენობისა და განთავსების შესაძლებლობის თაობაზე.^[3]

პენიტენციური დეპარტამენტის პასუხის თანახმად, [REDACTED] N2 პენიტენციური დაწესებულებიდან N8 ან N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა არ იგეგმება, გადატვირთულობის თავიდან აცილების გამო.^[4]

საკულისხმოა, რომ N2 პენიტენციური დაწესებულებიდან წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, [REDACTED] საცხოვრებელი მისამართია: სიღნაღი, სოფელი [REDACTED] სასჯელის მოხდა განსაზღვრული

სახალხო დამცველის რწმუნებული ტელეფონით ესაუბრა [redacted] ბებიას, [redacted] რომელმაც აღნიშნა, რომ მატერიალური და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ ახერხებს N2 პენიტენციურ დაწესებულებაში შვილიშვილის მონახულებას, თუმცა აუცილებლად განახორციელებს მსჯავრდებულთან ვიზიტებს, მისი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე დაწესებულებაში განთავსების შემთხვევაში.[6]

სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, N8 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულია [redacted] ბრალდებული/მსჯავრდებული, ხოლო N10 დაწესებულებაში - [redacted] ბრალდებული/მსჯავრდებული. პასუხის თანახმად, ადამიანური რესურსების საჭიროებიდან გამომდინარე, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში გაიზარდა სამტაო ერთეულების რაოდენობა და ამჟამად, მიმდინარეობს ვაკანტური ადგილების შევსების პროცესი. გარდა ამისა, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს დაწესებულების ადმინისტრაციული ნაწილის სამშენებლო სამუშაოები, სადაც უნდა მოეწყოს ხანმოკლე/ხანგრძლივი/ვიდეო პაემნებისთვის და დისტანციური ჩართვებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. აღნიშნული პროცესების დასრულების შემდგომ შესაძლებელი გახდება N10 პენიტენციურ დაწესებულებაში ლიმიტით განსაზღვრულ პატიმართა რაოდენობის მიღება.[7]

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პატიმრის შესაძლებლობას, მჭიდრო კონტაქტი ჰქონდეს ოჯახის წევრებთან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროდ განიხილავს.

სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ადგენს პატიმრის უფლებას, თვითონ აირჩიოს პენიტენციური დაწესებულება, თუ პატიმარი მოთავსებული იქნება სახლიდან ისე შორს, რომ ოჯახის წევრების მხრიდან ვიზიტების განხორციელება მნიშვნელოვნად დაბრკოლდება, ან შეუძლებელი გახდება, ეს შესაძლოა გახდეს ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევის საფუძველი.^[8] ამასთან, სასამართლოს შეფასებით, მსჯავრდებულის სოციალური კავშირების დაკარგვა (პაემანი, სატელეფონო ზარი, მიმოხერა), სხვა ფაქტორებთან ერთად, იწვევს გათავისუფლების შემდეგ დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს.^[9]

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ მიეკუთვნება აბსოლუტური ხასიათის უფლებათა ჩამონათვალს და მასში ჩარევა შესაძლებელია ტრადიციული ტესტის^[10] დაკმაყოფილების შემთხვევაში, თუმცა ევროპული სასამართლო დარღვევის არსებობას ადგენს იმ კითხვაზე პასუხის გაცემით, მიღწეული იქნა თუ არა სამართლიანი ბალანსი ლეგიტიმურ მიზანსა და ინდივიდის უფლების შეზღუდვას შორის. მოცემულ შემთხვევაში კი, თითქმის 2 წელი ოჯახის საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე დაწესებულებაში განთავსება, რაც, ფაქტობრივად, იწვევს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის უფლების შეზღუდვას, არ შეიძლება ჩაითვალოს სამართლიან ბალანსად და კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ სფეროში ჩარევას წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ევროპულმა სასამართლომ ინდივიდუალური გარემოებების შეფასების შედეგად არაერთ საქმეში დაადგინა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, როდესაც მსჯავრდებული განთავსებული იყო საცხოვრებელი ადგილიდან ტერიტორიულად შორს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში და ამ მიზეზით, სრულყოფილად ვერ იყენებდა ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებას.^[11] სასამართლოს შეფასებით, ოჯახური ცხოვრება პატიმრის უფლებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს და შესაბამისმა ორგანოებმა ხელი უნდა შეუწყონ ოჯახის წევრებთან სიახლოვის შენარჩუნებაში.^[12]

ევროპული ციხის წესების შესაბამისად, პატიმრების განთავსება უნდა მოხდეს შეძლებისდაგვარად ახლოს მათ სახლებთან ან სოციალური რეაბილიტაციის ადგილებთან.^[13] ამასთან, ოჯახთან კომუნიკაცია უმეტეს შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის. რესოციალიზაცია კი, თავის მხრივ, სასჯელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს.^[14]

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ“ ცალსახად განსაზღვრავს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.^[15] ამავე დოკუმენტის თანახმად, პატიმრები მოთავსებული უნდა იყვნენ, თუ ეს შესაძლებელია, მათ სახლსა თუ სოციალური რეაბილიტაციის ადგილთან ყველაზე ახლოს მდებარე პენიტენციურ დაწესებულებაში.^[16]

ნიშანდობლივია, რომ იგივე პრინციპია განმტკიცებული საქართველოს პენიტენციურ კოდექსშიც. კანონის შესაბამისად, მსჯავრდებული, როგორც წესი, სასჯელს უნდა იხდიდეს მისი ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელი ადგილიდან ყველაზე ახლოს მდებარე, შესაბამისი ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.^[17]

ნიხამდებარე საქმის ანალიზი

სახალხო დამცველის აპარატი სრულიად იზიარებს პენიტენციურ დაწესებულებებში გადატვირთულობის თავიდან არიდების მნიშვნელობას, თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით დაუბრკოლებლად სარგებლობა და ამ საკითხებს შორის გონივრული ბალანსის დაცვა. როგორც უკვე აღინიშნა, [1] ოჯახის წევრებთან პაემნის უფლებით არ უსარგებლია 1 წლისა და 9 თვის მანძილზე. აღნიშნული კი, საკმარისზე მეტი დროა საიმისოდ, რომ პენიტენციურმა სამსახურმა გადახედოს თავის იმ გადაწყვეტილებას, რომლითაც პატიმრის უფლება, ფაქტობრივად იზღუდება.

აქვე, განსაკუთრებით გასათვალისწინებელია N8 პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული ზოგადი მდგომარეობა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რაოდენობის გადატვირთულობის კუთხით.[18] შესაბამისად, შესაძლებელია განხილულ იქნას მსჯავრდებულის N10 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსების საკითხი.

როგორც მოგეხსენებათ, N2 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, N10 პენიტენციური დაწესებულება წარმოადგენს პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას, სადაც მოქმედებს მსგავსი სარეჟიმო და სხვა პირობები.

ნიშანდობლივია, რომ „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის „მ¹“ ქვეპუნქტის თანახმად, N10 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 ბრალდებულ/მსჯავრდებულ. შესაბამისად, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ N10 პენიტენციური დაწესებულების ლიმიტი მნიშვნელოვნად აღემატება დაწესებულებაში მყოფ ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა იმ საერთო რაოდენობას, რაც სახალხო დამცველის აპარატს ეცნობა პენიტენციური დეპარტამენტიდან (დადგენილი ლიმიტია - 700 პატიმარი, ინფორმაციის მიღების დროისთვის, მოთავსებული იყო - [2] პატიმარი), მსჯავრდებულ [3] N10 დაწესებულებაში გადაყვანა გამორიცხავს გადატვირთულობის პრობლემის წარმოქმნას.

აქვე, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ პენიტენციური დეპარტამენტის წერილში[19] აღნიშნულ გარემოებებს, კერძოდ, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში ამჟამად სამტატო ერთეულებზე ვაკანტური ადგილების შევსებისა და სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობას. თუმცა, ვიმედოვნებთ პროცესების უახლოეს პერიოდში დასრულების შესაძლებლობას.

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოგმართავთ რეკომენდაციით, მსჯავრდებულის ან მისი ახლო ნათესავის საცხოვრებელ ადგილთან ახლოს სასჯელის მოხდის პრინციპის დაცვით, მსჯავრდებულ [4] სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, N2 პენიტენციური დაწესებულებიდან, გონივრულ ვადაში, სამტატო ერთეულებზე ვაკანტური ადგილების შევსებისა და სარემონტო სამუშაოების დასრულებისთანავე, გადაყვანილ იქნას შესაბამისი ტიპის, N10 პენიტენციურ დაწესებულებაში.

გთხოვთ, მოცემული რეკომენდაციის განხილვის შედეგები „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში აცნობოთ სახალხო დამცველს.

[1] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 მარტის N15-14/3093 წერილი.

[2] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 27 მარტის N15-14/3092 წერილი.

[3] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2024 წლის 10 ივნისის N2024/1777 წერილი.

[4] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 5 აპრილის N99616/01 წერილი.

[5] N2 პენიტენციური დაწესებულების დირექტორის 2024 წლის 1 აპრილის N93114/01 წერილი.

[6] სატელეფონო საუბარი შედგა 2024 წლის 12 ივნისს.

[7] სპეციალური პენიტენციური სამსახურის პენიტენციური დეპარტამენტის 2024 წლის 20 ივნისის N180010/01 წერილი.

[8] იხ. ვინტმანი უკრაინის წინააღმდეგ, N28403/05, პარ. 78.

[9] იხ. დანილევინი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022, პარ. 62.

[11] იხ. ხოდორკოვსკი და ლებედევი რუსეთის წინააღმდეგ, 11082/06, 13772/05, 25.07.2013, ასევე, დანილევჩი რუსეთის წინააღმდეგ, N31469/08, 28.02.2022.

[12] მესინა იტალიის წინააღმდეგ, პარ. N61, 25498/94, 28.12.2000.

[13] ევროპული ციხის წესები, პუნქტ. 17.1.

[14] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 1.

[15] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები პატიმრებთან მოპყრობის შესახებ (ნელსონ მანდელას წესები), წესი N106.

[16] იქვე, წესი 59.


[17] პენიტენციური კოდექსი, მუხ. 52, ნაწილი. 3.

[18] საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების 1-ლი მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, N8 პენიტენციური დაწესებულების ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტი არის 2325 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, გლდანის მე-7 მ/რ, მე-2 კმ) და 101 ბრალდებული/მსჯავრდებული (ქ. თბილისი, აბუსერიძე-ტბელის N11).

[19] 2024 წლის 20 ივნისის N180010/01 წერილი.

პატივისცემით,

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ვლემტრონულად 

ლევან იოსელიანი